ჩონგური საქართველოა, სიმებში ჩვენ ვართ ყველანი!

კოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი № 18 1-30 სექტემბერი (9441) ფასი 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას

სოხუმის დაცემისა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, ჟიული შარტავას მშობლიურ ქალაქში პატივი მიაგეს აფხაზეთში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში გამართულ ღონისძიებას „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია" ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები. „ჟიული შარტავამ, აფხაზეთში გმირული აღსრულებით, მომავალ თაობას სამშობლოსთვის თავდადების შეუდარებელი მაგალითი მისცა. დღეს უმძიმესი დღეა საქართველოს ისტორიაში. ჩვენი ერთიანი ძალისხმევითა და სწორი პოლიტიკით დაკარგულ ტერიტორიებს აუცილებლად დავიბრუნებთ." - აღნიშნა ალექსანდრე მოწერელიამ. ღონისძიების შემდეგ გვირგვინებით შეამკეს 27 სექტემბერს გმირულად აღსრულებული საქართველოს ეროვნული გმირის, ჩვენი თანაქალაქელის, ჟიული შარტავას ბიუსტი. აფხაზეთის ომში დაღუპულთა სკვერში ასევე ყვავილებით შეიმკო გენო ადამიას, გურამ გაბისკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები. წმ. იოანე ნათლისმცემლის სენაკის საკათედრო ტაძარში აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა.

„მუდამ ჩემი მოსახლეობის გვერდით დავდგები"

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია ადგილობრივი ხელისუფლებისა და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლასკურის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე გზის შეკეთებისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის საკითხები წამოიჭრა. ალექსანდრე მოწერელია გოლასკურის მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო. გუბერნატორმა მათი მოგვარების გზებზე, არსებულ გამოწვევებსა და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. „მე მუდამ ჩემი მოსახლეობის გვერდით დავდგები, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ყველა რესურსს გამოვიყენებ, რათა სამეგრელოს მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემები დროულად და ეტაპობრივად მოგვარდეს" - განაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა.

სასწავლო პროცესი განახლდა

17 სექტემბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო და სააღმზრდელო პროცესი განახლდა. ახალი სასწავლო წლის დაწყება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრადიციულად საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, სკოლებსა და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში გამართულ ღონისძიებებს დაესწრნენ. მათ მოსწავლეებსა და პედაგოგებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. აღსანიშნავია, რომ სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 26-ვე დაწესებულების 362 პირველკლასელს - თანამედროვე ნეთბუქები, ხოლო საჯარო სკოლების ყველა მოსწავლეს სასწავლო სახელმძღვანელოების სრული პაკეტი უფასოდ გადაეცათ. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის 26 სააღმზრდელო დაწესებულებაში მიმდინარე წელს 1392 აღსაზრდელი ირიცხება, აქედან 587-მა რეგისტრაცია პირველად გაიარა.

ალექსანდრე მოწერელია სენაკში

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია სენაკს ესტუმრა. გუბერნატორმა სენაკის მუნიციპალიტეტის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად იუსტიციის სახლის მშენებლობა დაათვალიერა. ალექსადრე მოწერელია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო და მშენებლობაზე დასაქმებულებს გაესაუბრა. სენაკის იუსტიციის სახლი 587 კვ. მეტრი იქნება და ის 5965 კვ. მეტრის ტერიტორიაზე განთავსდება. შენობის პროექტი, რომელიც არქიტექტორ მიხეილ გიორგობიანს ეკუთვნის, თავისი ინდივიდუალური სტილით ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა იქნება. იგი არქიტექტურულად და ფუნქციურად დაამშვენებს და გააფართოვებს ქალაქის არეალს. იუსტიციის სახლის კონცეფციის შესაბამისად, სენაკშიც სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები ერთ სივრცეში მოექცევა. აქვე განთავსდება ქორწინების სახლი და სასწავლო ცენტრი. სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღება სენაკშიც იქნება შესაძლებელი. სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბერში სრულდება. შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საავტომობილო გზის 78 კმ-ზე ზედაპირული წყლების ინტენსიური ზემოქმედების შედეგად დაზიანულ გზის მონაკვეთზე შექმნილ მდომარეობასა და დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

შეხვედრა დაზარალებულ მოსახლეობასთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებულ ობიექტებზე იმყოფებოდა. ის ძველი სენაკისა და ფოცხოს ადმინისტრაციულ თემში სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა და შექმნილ მდგომარეობას გაეცნო. ძლიერმა ქარმა სენაკის მუნიციპალიტეტის ფოცხოს ადმინისტრაციულ თემში საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა და მეორე სართული ჩამოშალა. ძველი სენაკის ადმინისტრაციულ თემში გზის სავალ ნაწილზე, რამდენიმე ადგილას, ხე წააქცია და სავალი ნაწილი ჩახერგა. სტიქიის ღამეს, პირველივე წუთებიდან, ყველა შესაბამისი სამსახური მობილიზებული იყო. წაქცეული ხეებისგან გზები გაიწმინდა და გადაადგილებაც მალევე შესაძლებელი გახდა.

ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი შოუ კონცერტი

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გამართული შოუ კონცერტი ცნობილი ქართველი მომღერლების - ნინი ბადურაშვილის, გიორგი სუხიტაშვილისა და ნოდიკო ტატიშვილის მონაწილეობით. საღამო გიორგი სუხიტაშვილს მიჰყავდა. კონცერტს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილმა საღამომ სრული ანშლაგით ჩაიარა. შოუ-კონცერტი ფოიერვერკით დასრულდა.

გაგრძელება მეორე გვერდზე

კვალი ნათელი



ნოდარ ჯალაღონია

გარდაიცვალა თვლსაჩინო ქართველი პოეტი ნოდარ დომენტის ძე ჯალაღონია.

დაამთავრა სენაკის ვაჟთა №1 საშუალო სკოლა 1952 წელს, სწავლობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტში ქართული ენა-ლიტერატურის სპეციალობით, მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში, ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ბატონი ნოდარი თავისი შემოქმედებით ათეული წლების მანძილზე ემსახურებოდა საკუთარ ხალხს და ქვეყანას, იყო მისი წუხილისა და ტკივილის თანაზიარი. ეწეოდა უაღრესად საინტერესო საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად. სამი ათეული წლის განმავლობაში იღწვოდა საქართველოს ტელერადიოკომიტეტში, როგორც სამეცნიერო მეთოდური რედაქციის უფროსი რედაქტორი, სატელევიზიო სტუდიის რედაქტორი, სატელევიზიო ფილმების სარედაქტორო კომისიის წევრი.

ბატონ ნოდარ ჯალაღონიას მინიჭებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის 1979 წლის პრემია.

ბატონმა ნოდარმა ლექსების წერა ადრეულ ბავშვობაში დაიწყო. იგი ოცდათამდე წიგნის ავტორია. განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი ლექსების ციკლი -„ძველი კოლხური ჰანგები".

ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი ლია ანდღულაძე წიგნში-„პოეტი მამულიშვილი" განიხილავს ნოდარ ჯალაღონიას ცხოვრებისა და შემოქმედების გარკვეულ წლებს და წარმოაჩენს მას, როგორც სიკეთის, ნიჭისა და თავდადების დამფასებელ პოეტს, თავისი ქვეყნის პატრიოტსა და თავისუფლების ტრუბადურს, ღირსეულ პოეტსა და მამულიშვილს. პოეტს ვერ წარმოედგინა ულექსოდ და უსამშობლოდ ყოფნა.

„გავუძლებ ჭირსა და ვარამს,
სიავეს, მტრობას და დუხჭირ ყოფას,
მაგრამ სიკვდილზე უფრო მაშინებს
უსამშობლოდ და ულექსოდ ყოფნა".

მკითხველს ძალიან უყვარს ბატონი ნოდარის პოეზია, მისი ჯადოსნური სამყარო, მას მუხათწყაროს განდეგილს, მუხათწყაროს ბერმუხას უწოდებენ.

ბატონ ნოდარს თავის რაიონთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია და ძნელბედობის ჟამს ყოველთვის მასთან იყო.

იგი ლიტერატურული გადაცემების უფროსი რედაქტორი გახლდათ, მაგრამ ოდნავი უსამართლობაც რომ შეენიშნა, არაფრად დაგიდევდათ არც მთავარი რედაქტორისა და არც სხვათა პოზიციას, პრინციპული იყო და უკიდურესად სამართლიანი. თან როგორც ალბათ ყოველი პოეტი, გულღიაც და წარმოიდგინეთ გულუბრყვილოც.

ბატონ ნოდარს პატრიოტული ლირიკის გვერდით, ერთობ მომხიბვლელი სატრფიალო ლექსებიც გააჩნია, რომელთაგანაც რამდენიმეზე შექმნილია მშვენიერი საესტრადო სიმღერები.

პოეტი მათ შორისაა, ვინც 90-იან წლების დასაწყისში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იდეების მხარდაჭერის გამო იდევნებოდა. მიიჩნევდა, რომ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გზა ის გზაა, რომლისთვისაც ღირს თავის გაწირვა.

პოეტი ვერ გადაურჩა შეურაცხყოფას, დამცირებას, დაპატიმრებას, თუმცა კვლავაც წერდა მამხილებელ ლექსებს, გამოდიოდა მიტინგებზე და შეკრებებზე.

იყო ასეთი შემთხვევა, ერთხელ მწერალთა კავშირის შეკრებაზე, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია ესწრებოდა, ნოდარ ჯალაღონიამ წაიკითხა ლექსი „ყვავილების მიწა". კონსტანტინე წამოდგა, ტაში დაუკრა და განაცხადა : აი, ეს არის პოეზია. საღამო რომ დასრულდა მასთან მივიდნენ პოეტები ირაკლი აბაშიძის მეთაურობით და მიულოცეს ბატონ ნოდარს.

„ყვავილების მიწა" დღევანდელობას ეხმაურება.

ბატონი ნოდარი წერდა, რომ თავს დიდ პოეტად არ ვთვლი, მეწერება და ვწერ, ვერ მივატოვე წერა და რა ვქნაო. მისი პოეზიის ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, სომხურ, ოსურ, რუსულ ენებზე.

მარადი ზეციური სხივი არ მოაკლდება მის განსასვენებელს.

ზაირა ფაჩულია,
ბორის დავითაია,
დამირ კუჭავა

* * *

ჩვენს დიდ წინაპრებს მამული
დაუცავთ მართლაც კბილებით,
არც დღეს აკლია სამშობლოს
ქვეყნის და ერის შვილები.
მაგრამ თუ ვერცხლმა იძალა,
იუდა გამოგვერია,
სულგაყიდული ქართველი
ყველაზე დიდი მტერია.
როს მტერი ვედარ გვჯობნიდა
ვერც ჭკუით და ვერც ძალათი,
დამარცხებულა სამშობლო
ბევრჯერ ქართველები ღალატით.
მაგრამ ღვთისმშობლის წყალობა
მოგვყვება ჩვენ იმთავითვე,
და არ მოგვაკლებს უფალი
არც შოთას და არც დავითებს,
არც ვაჟას და არც აკაკის
და ადარც წმინდა ილიას,
არაგველები ისევე
მარაბდის ველზე ივლიან.
ქართული გენი და სისხლი
იცოცხლებს და ისვიანებს
და საქართველო ისევე
იდიდგორ-იბასიანებს

2010 წ.
თებერვალი
ნოდარ ჯალაღონია

სენაკის მუნიციპალიტეტის
საინფორმაციო ცენტრი ღრმა
მწუხარებას გამოთქვამს პოეტის,
ჭეშმარიტი მამულიშვილის

ნოდარ ჯალაღონიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს
უცხადებს განსვენებულის ოჯახს

გმირის სახელობის სკოლაში

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული გმირის –ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლას ეწვივნენ ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომლები ქალბატონები მარინე აბრამია და ნანა ფირცხალავა. ისინი გმირის სახელობის კლას-კაბინეტში შეხვდნენ დირექციის წარმომადგენლებს, მეორე კლასის მოსწავლეებს და მათ კლასის ხელმძღვანელს ირინა განგიას. სტუმრებმა დამსწრეთ მიულოცეს სასწავლო წლის დაწყება, უსურვეს წინ სვლა და წარმატებები, გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

სკოლის დირქტორმა დემნა ჭანტურიამ და დირექტორის მოადგილემ თეა ფუტკარაიამ მადლობა გადაუხადეს სკოლაში სტუმრად მოსულ ქალბატონებს მობრძანებისთვის და გამოთქვეს შემდგომი თანამშრომლობის სურვილი.

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა პედაგოგ ირინა განგიას ხელმძღვანელობით ყვავილებით შეამკეს ქალაქის ცენტრში ჟიული შარტავას ბიუსტი, მრავლად გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

ანა სალაძე,
მეორე კლასის მოსწავლის
ბარბარე ძავთარაძის მშობელი

ზეიმი ფეხბურთის პირას

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი"

მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, სოფლის დეპუტატ დავით ხუხიას, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი-გივი მისაბიშვილის, სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურის ცენტრის დირექტორის ლევან უჩანეიშვილის, კოორდინაციის სპეციალისტის სოფო გვარამიას, რეჟისორ ვეფხვია გორგოძის, სასპორტო გაერთიანების უფროსის ჯუმბერ ლაშქარავას, მწვრთნელების: ამირან დავითაიას, უჩა ჯღარკავას, გელა ხარბედიას თაოსნობითა და მხარდაჭერით 30 აგვისტოს II ნოსირის პეტრე ქავთარაძის სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა ღონისძიება. რომელსაც უძღვებოდა კულტურის ცენტრის უნიჭიერესი რეჟისორი ვ. გორგოძე. მასპინძლობდა კულტურის სახლის დირექტორი რევაზ ჩილაჩავა და ბიბლიოთეკის გამგე ნელი ჯანჯღავა.

ესთეტიკურად მოწყობილ ღია ცის ქვეშ ძვალმსხვილ ხეთა წყებაზე მიმაგრებული იყო სოფლის მატიანის ამსახველი ფოტოსურათები. ბეჭდაუდებელი ფალავნის ნესტორ ესებუას შეჯიბრება კულა გლდანელთან, საფეხბურთო შიდა ტურნირებში-მიღებული სეირან ბარკალაიას, ბორია ჯიქიძის, ზურაბ შეროზიას სახელობის თასები მაგიდაზე იყო განლაგებული-გარემოს საამოდ ეფინებოდა მომაჯადოებელი მუსიკის ჰანგები, ადგილ-ადგილ ნარდის თამაშით ერთობოდნენ. ტრადიცია გრძელდებოდა და სოფლის მოსახლეობას უჩნდებოდა იმედი-იმედი, რომელიც სულის მკურნალია.

დაიწყო ღონისძიება ფეხბურთით.

ადგილობრივ მკვიდრთა –სამშობლოს მოჭირნახულე-ძმების: იგორ და ვახტანგ ნარმანიების თასზე საბარკალაიოს და საჩილაჩაოს გუნდი შეეჯიბრა ერთმანეთს. გამარჯვებულ საჩილაჩაოს გუნდს გადაეცა ნარმანიების სახელობის თასი.

ფეხბურთის შემდეგ გაიშალა საჭიდაო ხალიჩა და თეთრ საჭიდაო ფორმებში გამოწყობილმა გოგონებმა მიიპყრო დამსწრე საზოგადოების ყურადღება. ჭაბუკებს შორის გამარჯვებულ საბა კირცხალიას გადასცეს სიგელი. ბეჭდაუდებელ ნესტორ ესებუას თასზე ახალგაზრდებში გამარჯვებული გახდა - გია გოგოლაძე, რომელსაც ბაბუას მხრებზე წამოსკუპებულმა 3 წლის(მეოთხე თაობა) ნესტორ ესებუამ გადასცა თასი. გამარჯვება კი მხურვალედ მიულოცა ბატონმა ლევან უჩანეიშვილმა.

დასასრულს გაიმართა ერთობლივად მარად დასამახსოვრებელი საღამო-კონცერტი ანსამბლ„კოლხის" და ახალგაზრდული თეატრის „ფიროსმანის" მიერ, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ვ. გორგოძე და გ. კორშია. ფოიერვერკებმა გაანათა და გაალამაზა ღონისძიება. უდიდესი მადლიერების მადალი გრძნობა, მოწიწება და პატივი მადლიერი სოფლელებისაგან ყველა მონაწილეს და ინიციატორს.

გული კირცხალია

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ
(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲪᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲗᲐᲗᲛᲘᲠᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲣᲞᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲝᲓᲐ. ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ �გᲠᲘ�გᲝᲚ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ, ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓ�გᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ Ა(Ა).Ი.Პ-ᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲜᲔᲜ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲡᲐ�გᲖᲐᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ, ᲨᲘᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ �გᲖᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲜᲘᲐᲦᲕᲠᲔ ᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲖᲘᲣᲠ ᲤᲐᲠᲝᲡᲐᲜᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ, ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲣᲞᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲪᲐ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ / World Clean Up Day In Senaki

ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ/ Let's Clean Up Our City Together - ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲐᲥᲪᲘᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ.

ᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ �გᲠᲘ�გᲝᲚ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ, ᲛᲔᲠᲘᲘᲡ, ᲛᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓ�გᲔᲜᲚᲔᲑᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲔᲗᲘᲚᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲚᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ - ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ, ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲐ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲓᲐᲕᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“/ „Clean Up Georgia" ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲝᲠᲪᲘᲣᲛᲘᲡ - „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ/ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ -ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ „ᲝᲠᲥᲘᲡᲘ“, „ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ“ - ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ Ა�გᲠᲝᲪᲣᲠᲘ ᲨᲔᲓ�გᲐ

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ „Ა�გᲠᲝᲢᲣᲠᲘ - 2018“ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ. Ა�გᲠᲝᲢᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ Ა�გᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲜᲝᲑᲐᲓ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓ�გᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐᲡ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ. Ა�გᲠᲝᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲯᲒᲣᲤᲡ - ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓ�გᲔᲜᲚᲔᲑᲡ, ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ - ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲛᲐᲠᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲦᲕᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔ ᲥᲔᲗᲘ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ. ᲛᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ „ᲝᲓᲐ“ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. „ᲝᲓᲐᲡ“ ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲝᲯᲐᲮᲔᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ, ᲭᲕᲘᲢᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲕᲐᲖᲘ. 2017 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲡ ᲯᲘᲦᲐᲣᲠᲐᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲯᲘᲨᲔᲑᲘᲪ - ᲙᲝᲚᲝᲨᲘ, ᲓᲣᲓᲦᲣᲨᲘ, ᲚᲐᲙᲐᲘᲐᲯᲘ ᲓᲐ ᲐᲨᲣ�გᲐᲯᲘ. „ᲝᲓᲐᲡ“ ᲜᲘᲨᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡᲐᲐ - ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲔᲜᲓᲔᲛᲣᲠᲘ

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ. ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲐᲜᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ, ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ (2015) ᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲝᲠᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ (2016). ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲝᲐ. ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲓᲘᲓ ᲭᲧᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲜᲐᲪᲕᲚᲔᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ Ш.Ѳ.Ѳ. „ᲯᲘ.ᲯᲘ.ᲯᲘ.ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘ“-Ს ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓ�გᲔᲚᲛᲐ, ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲛᲐ ᲒᲔᲚᲐ ᲒᲐᲠᲩᲐᲒᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲐᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲙᲚᲘ ᲒᲐᲐᲪᲜᲝ, ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲔᲚᲛᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲑᲐᲖᲐᲠᲡ. „Ა�გᲠᲝᲢᲣᲠᲘ -2018“-ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ, ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲐ.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ
ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

2018 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ. ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲠᲣᲡᲘᲐ. ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ. 1. „ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ” ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ 21 ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ”. ᲛᲝᲛᲰᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲗᲘ-ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ: Თ. ᲯᲘᲜᲯᲝᲚᲐᲕᲐ. 2. ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ (ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲓᲘ 44.11.24.011) ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ - ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ 2018 ᲬᲚᲘᲡ 27 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ № 39 ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲗᲝᲛᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲰᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲑᲐᲓᲠᲘ �კᲐᲚᲜᲐᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 3. ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ” ᲛᲝᲛᲰᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲐᲚᲜᲐᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ, ᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ, ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲢᲐ, ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ „ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ �გᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 2018-2019 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ“ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ 2018 ᲬᲚᲘᲡ 27 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ 41 ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲔᲛᲣᲠᲘᲐ,
ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ

*„ᲘᲛ Ჩ

2018 წლის 28 ოქტომბერი-საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები
№ 64 სენაკის საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრების სახელობითი სია

№	ოლქის ნომერი	ოლქის დასახელება	სახელი, გვარი	თანამდებობა
1	64	სენაკი	ცოტნე შუშანია	კომისიის თავმჯდომარე
2	64	სენაკი	ვახტანგ ჯალაღონია	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
3	64	სენაკი	ვენერა პირტახია	კომისიის მდივანი
4	64	სენაკი	ალექსანდრე ქაჩიბაია	კომისიის წევრი
5	64	სენაკი	თამარი ჭანტურია	კომისიის წევრი
6	64	სენაკი	გიორგი გვასალია	კომისიის წევრი
7	64	სენაკი	მანანა მურღულია	კომისიის წევრი
8	64	სენაკი	გია ჯალაღონია	კომისიის წევრი
9	64	სენაკი	ბექა ჯოჯუა	კომისიის წევრი
10	64	სენაკი	ნარგიზა გარუჩავა	კომისიის წევრი
11	64	სენაკი	ანა კვირკველია	კომისიის წევრი
12	64	სენაკი	რუსუდან ქარჩავა	კომისიის წევრი

ფასტ პოლიტიკური რეკლამა
№2 დავით ბაქრაძე-საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი

ჩემი მიზანია საქართველო წავიდეს წინ რყევისა და დაპირისპირების გარეშე, გვქონდეს პროგნოზირებადი და საიმედო ხვალინდელი დღე.
არ ვაპირებ გამოვიკეტო პრეზიდენტის კაბინეტში, მუდმივად ვიქნები ხალხში და დავიცავ ყველაზე დაუცველთა უფლებებს.
გამოვიყენებ ჩემს უფლებამოსილებას ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული გარემოს დასაცავად.
არ დავუშვებ „ქართული ოცნების“ ერთპარტიულ და ოლიგარქიულ მმართველობას და მივიდწევ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას მთავარი საკითხების გარშემო, როგორიცაა: ევროპული და ევროატლანტიკური მომავალი, ქვეყნის უსაფრთხოება და დეოკუპაცია, ეკონომიკური კეთილდღეობა, პიროვნული თავისუფლება და დაცულობა.
ეს არის ის, რაც ყველას გვინდა!

როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი და საქართველოს თითოეული მოქალაქის პრეზიდენტი:
.. ღირსეულად დაიცავს ქვეყნის ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე, მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, რაც შექმნის მეტ სამუშაო ადგილს.
საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ჩვენი თანამემამულეებისათვის სამშობლოში დაბრუნებამდე მიაღწევს უცხოეთის შრომითი ბაზრის გახსნას და დასაქმების ქვოტების გამოყოფას, რაც ნიშნავს ლეგალურ სამუშაოს, მეტ ხელფასს და დაცვის გარანტიებს.
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის არანაკლებ 50% დახარჯავს უცხოეთის უნივერსიტეტებში ჩარიცხული ქართველი სტუდენტების დასაფინანსებლად.
საპარლამენტო გუნდთან ერთად იზრუნებს მოქალაქეთაკეთილდღეობაზე, აიძულებს მთავრობას 50ლარით გაზარდოს პენსია, მიხედოს სოფელს და შეამციროს გადასახადები.

ხალხის პრეზიდენტი
დავით ბაქრაძე

ფასტ პოლიტიკური რეკლამა
№ 25 დავით ესეფაშვილი-საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი ამოცანაა მოპოვებული სახელმწიფოებრიობის შეუქცევადობის უზრუნველყოფა: ა) მოქალაქეობრივი ცნობიერების, პასუხისმგებლობისა და აქტიურობის ხარისხობრივი ზრდით; ბ) სტაბილური მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის შექმნით; გ) დემოკრატიული სამყაროს უსაფრთხოების და თანამშრომლობის სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრირებით.პრეზიდენტის ამოცანაა საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოებრიობის თანაბარი გავრცელება, განმტკიცება და გაძლიერება, რაა ჩვენს სამშობლოს ჩვენმა სახელმწიფომ უპატრონოს და მრავალპარტიული სხვადასხვაობა საერთო-სახელმწიფოებრივმა ერთიანობამ დაბალანსოს.
გარეშე მტრებისა და პერსონალურ ქიშპობაში გართული შიდა პოლიტიკური ძალების გავლენით სულ უფრო ბევრ მოქალაქეს იპყრობს იმის განცდა, რომ ქვეყანას მეტი არ შეუძლია და ამ ქვეყანაში მას მეტი აღარ შეუძლია-ბევრი ან ტოვებს ქვეყანას, ან რჩება ქვეყანაში, მაგრამ სრულად ემიჯნება საჯარო ცხოვრებას, ანუ საკუთარ სახელმწიფოს. ეს ტენდენცია ქართულ სახელმწიფოს თვითლიკვიდაციისაკენ მიაქანებს.
ამიტომ პრეზიდენტის ამოცანაა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის და თვითრწმენის აღდგენა და განმტკიცება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, 1918-21 წლების დემოკრატიული საქართველოს და 1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთების აღორძინება, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული საზოგადოების დემოკრატიული მოდერნიზაციის ხელშეწყობა; ინდივიდუალური, ეროვნული და სახელმწიფოებრივი წარმატების მომტანი „მუდმივად მეტი შესაძლებლობების” დოქტრინის რეალიზება; ანუ ქვეყნის, ოჯახის და პიროვნების ნაბიჯ-ნაბიჯ რაციონალური დაგეგმილი განვითარება.
პრეზიდენტი გვჭირდება, რადგან საქართველოს სჭირდება სახელმწიფოს შემკვრელი, საზოგადოების მომწესრიგებელი, ქვეყნის დამლაგებელი საქმე, რაც აღმასრულებელი ვალდებულებებისაგან და პოლიტიკური პაექრობის აუცილებლობისგან გამოთავისუფლებული სახელმწიფოს მეთაურის საკეთებელი საქმეა.

„იმ ჩუმთა მუშაკთა ღვაწლი”

ნათელა ბებო

დასასრული

მარტო ცხოვრობს თურმე. მეზობელს ვეხმიანებით. –აქ იქნება, ალბათ ეზოში საქმიანობს. მივყვებით მას. ნათელა ბებო ყანაში სიმინდს არჩევს.
-კარგად არ მესმის ბებია, დავბერდი, პატარა ხომ არა ვარ.
ჩვენი რესპონდენტი 1913 წელს იანვარში დაბადებულა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაკიანში, 18 წლისა დაქორწინებულა ბიქტორ გოგიაზე.„ჩემი მეუღლე ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი იყო, ათეულობით მოსწავლე ყავს აღზრდილი, მე ძირითადად ოჯახის დისახლისი ვიყავი, შრომაში გავატარე ჩემი ცხოვრება, დღესაც ვმუშაობ, არ შემიძლია უსაქმოდ ყოფნა-გვიყვება იგი.

ქალბატონი ნათელა 3 შვილის (2 ვაჟი და 1 ქალიშვილი), 6 შვილიშვილის და 6 შვილთაშვილის დედა, ბებია და დიდი ბებია. ყველაზე ტრაგიკული უმცროსი ვაჟის მეუღლის გარდაცვალებაა ჩემთვის.
ქალაქში, შვილებთან წასვლა და დარჩენაზე ხომ არ გიფიქრია? ვეკითხებით, არა, შრომა ქალაქშიც საჭიროა და აქაც. ესეც არ იყოს აქ, სადაც გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება, მირჩევნია. აქაა ჩემი ადგილი, ჩემ ნალოლიავებ სახლ-კარში, ჩემს მეზობლებთან. ასე, წლიდან წლამდე ნათელა ბებო ფუსფუსებს, შრომობს, ერთ დღესაც მოენატრება თავისიანები, მოაქუჩებს სოფლის ნობათს „დედა შემოგევლოთ”, „ბებია გენაცვალოთ”- ჩურჩულით და ვაჟიშვილთან ერთად ყველას ჩამოუვლის. შემდეგ ისევ თავის კერიას უბრუნდება და ისევ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობს-ყანა უნდა მოვტეხო, უნდა შევძლო, აბა უქმად რა გამაჩერებს-ამბობს ღიმილით მასპინძელი. ჩვენც გვიხარია, რომ გული ერჩის, მხნედ არის.
ჩუმ, უპრეტენზიო, მშრომელ, ყველასათვის საყვარელ ნათელა ბებიას ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს და შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების საიმედოდ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ნინო სართანია